

დამტკიცებულია დირექტორის 07.09.2016წ

ბრძანებით №04-46 დანართი N5

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი  
კოლეჯი



სტრატეგიული გეგმა 2016 - 2022 წწ.

(2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა)

## შინაარსი

ორგანიზაციის შესახებ .....	3
ორგანიზაციის მისია.....	3
ორგანიზაციის ხედვა და ღირებულებები .....	4
კოლეჯის მიზნები .....	4
1.პროფესიული პროგრამები .....	5
2.მატერიალური რესურსი .....	6
3. ადამიანური რესურსი.....	7
4. სტუდენტები .....	8
5. კერძო სექტორთან თანამშრომლობა .....	8
6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა .....	9
7.საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.....	10
SWOT ანალიზი .....	11
სამოქმედო გეგმა 2016 - 2017 .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>

*"მამულის გაკეთება და ნივთიერის ცხოვრების წინ წასვლა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით მცხოვრებთა შორის,*

ილია წინამძღვრიშვილი

## ორგანიზაციის შესახებ

1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით წინამძღვრიანთკარში გაიხსნა პირველი სასოფლო - სამეურნეო სკოლა. 1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა, 1928 წლიდან ეწოდა - წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ - საჩვენებელი სასოფლო - სამეურნეო სასწავლებელი. 1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. 1966 წლიდან იწოდება წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა, როგორც წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ - ეკოლოგიურ კოლეჯი, ხოლო 2008 წლიდან ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის ( მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრი. 2010 წელს მოხდა სასწავლებლის ლიკვიდაცია, 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

## ორგანიზაციის მისია

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

ამისთვის კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე;

- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან;
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას.

## ორგანიზაციის ხედვა და ღირებულებები

კოლეჯის მიზანია ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადების და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯის ძირითადი მიმართულებად განისაზღვრება სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება და მშენებლობა.

### ღირებულებები

- თანამშრომლობითი გარემოს შექმნა
- გუნდური მუშაობა
- სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა
- საჯაროობა
- სიახლისადმი ღიაობა

## კოლეჯის მიზნები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიზნებია :

ა) ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ბ) ტრენინგ-კურსების განხორციელება, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

მიზნის მისაღწევად, საზოგადოებრივი კოლეჯი:

ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

- ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- გ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ე) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- თ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ი) ახორციელებს ტრენინგ-კურსებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## 1. პროფესიული პროგრამები

სტრატეგიული მიზანი 1 - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების /ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა/პილოტირება.

ქვემიზნები :

- 1.1 ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი პროგრამების მომზადება
- 1.2 პროგრამების მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება
- 1.3 პარტნიორი საწარმოების მოძიება - დაკონტრაქტება
- 1.4 პროგრამების შეთანხმება პარტნიორ ორგანიზაციებთან

ამოცანები:

1. შრომის ბაზრის შესწავლა
2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად არჩევითი მოდულების შერჩევა
3. სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება/მოდულების ადაპტირება
4. პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაცია
5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფორმირება
6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმის შემუშავება
7. პროგრამების განხორციელების შეფასება (მონიტორინგი)
8. პროგრამების გადახედვა/განახლება
9. ბაზრის მოთხოვნის შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავება
10. პარტნიორ საწარმოებთან თანამშრომლობა პროგრამების განხორციელების პროცესში

## 2.მატერიალური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 2 - სახელოსნოების და სასწავლო აუდიტორიების სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა.

ქვემიზნები:

- 2.1 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების მიხედვით სასწავლო გარემოს სტანდარტის ანალიზი
- 2.2 არსებული ინფრასტრუქტურის ანალიზი
- 2.3 განსახორციელებელი სამუშაოების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში პროექტის მომზადება)
- 2.4 პროგრამებისთვის აუცილებელი სახელოსნოების და სხვა მატერიალური რესურსის შეძენა/განახლება
- 2.5 სასწავლო გარემოს ადაპტირება სსსმ სტუდენტებისთვის
- 2.6 ბიბლიოთეკის პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალებით მომარაგება და კატალოგიზაცია

## 2.7 საწარმოების დაკონტრაქტება

ამოცანები:

1. ფონდების მოძიება
2. ლაბორატორიების აღჭურვა
3. ლიფტის მონტაჟი
4. უსაფრთხოების სისტემების მონიტორინგი
5. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება
6. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შექმნა

## 3. ადამიანური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 3 - კვალიფიციური პერსონალის და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოზიდვა , მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ქვემიზნები:

- 3.1 კოლეჯის პოპულარიზაცია კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით
- 3.2 საინტერესო და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა
- 3.3 თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

ამოცანები:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება
2. კონკურსის გამოცხადება (ინფორმაციის გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ)
3. კანდიდატების შერჩევა
4. კანდიდატების ტრენინგი

## 4. სტუდენტები

სტრატეგიული მიზანი 4-სტუდენტების პროგრამებით დაინტერესება, მათ განვითარებაზე ზრუნვა.

ქვემიზნები:

- 4.1 სტუდენტების მოზიდვა
- 4.2 კლუბების ჩამოყალიბება
- 4.3 სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაში ხელშეწყობა
- 4.4 სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო პროცესის და კურსების გაუმჯობესების მიზნით
- 4.5 ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ამოცანები:

1. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა
2. პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აბიტურიენტებისთვის (სკოლებში ვიზიტი, მოსწავლეების ვიზიტი კოლეჯში, ვიდეორგოლების მომზადება)
3. სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა/ორგანიზება
4. სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება/ორგანიზებაში ხელშეწყობა
5. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა
6. სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვა პროგრამების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

## 5. კერძო სექტორთან თანამშრომლობა

სტრატეგიული მიზანი 5 - კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით.

ქვემიზნები:



5.1 შრომის ბაზრის კვლევა

5.2 პროგრამების შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართვა

5.3 საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით თანამშრომლობა

5.4 პროგრამების გასაუმჯობესებლად კომპანიების წარმომადგენლების გამოკითხვა

5.5 საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საწარმოების მხრიდან

5.6 სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება

ამოცანები:

1. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება
2. საწარმოო პრაქტიკისთვის მემორანდუმების გაფორმება
3. სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება
4. სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება
5. დამსაქმებლების მხრიდან პროგრამების და კოლეჯის შეფასება
6. შეფასების შედეგების ანალიზი და რეაგირება
7. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის პარტნიორების მოძიება
8. პარტნიორების ინფორმირება
9. პარტნიორებთან ხელშეკრულებების გაფორმება

## 6. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სტრატეგიული მიზანი 6 - საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებისთვის, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების და გაცვლითი პროგრამების ორგანიზების მიზნით.

ქვემიზნები:

6.1 დონორ ორგანიზაციებთან (UNDP, GIZ) თანამშრომლობა

6.2 სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებაში კოლეჯის ჩართვა

6.3 პროგრამების განხორციელება

6.4 პროგრამების შეფასება

6.5 საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება

6.6 გაცვლითი პროგრამების ორგანიზება

ამოცანები:

1. დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, მათთვის კოლეჯის საჭიროებების და გეგმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.
2. გადამზადების პროგრამების საჭიროების კვლევა
3. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პირობების შესწავლა
4. პროექტების შემუშავება
5. პროექტების განხორციელება
6. პროექტების შეფასება

## 7. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

სტრატეგიული მიზანი 7 - კოლეჯის ცნობადობის ზრდა და მართვის და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

ქვემიზნები:

7.1 შიდა საკომუნიკაციო საშუალებების დანერგვა

7.2 დაინტერესებული მხარეებისთვის (აბიტურიენტი, მშობელი, დამსაქმებელი და ა.შ.) ინფორმაციის რეგულალური მიწოდება და კომუნიკაციის შესაძლებლობების სიმარტივე

7.3 ელექტრონული სწავლების კომპონენტის დანერგვა

ამოცანები:

1. ინფორმაციის რეგულალური განახლება ვებგვერდზე
2. თანამშრომლებისთვის კორპორატიული ელ-ფოსტის შექმნა
3. კორპორატიული სატელეფონო მომსახურების შექმნა
4. რეგულალურად დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Eflow) ჩართვა
5. Eflow-ს ტრენინგი თანამშრომლებისთვის

6. ელექტრონული სწავლების კომპონენტის ჩართვა სწავლა - სწავლების პროცესში.

## SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში ერთადერთი საზოგადოებრივი კოლეჯი;</li> <li>• რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროფესიები;</li> <li>• სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება, რაც ხელ უწყობს დამსაქმებლის და სტუდენტის მჭიდრო თანამშრომლობას</li> <li>• ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები;</li> <li>• მოდულური პროგრამების დანერგვა;</li> <li>• საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნოები;</li> <li>• საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის;</li> <li>• შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო;</li> <li>• დასაქმებისა და თვითდასაქმების მეტი შესაძლებლობა;</li> <li>• პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის შრომისუნარიანი ადამიანისათვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;</li> <li>• საკანონდებლო ლაფსუსი, რომელიც ხელს უშლის ხელმძღვანელობას წარმართოს სასწავლებლების სამეწარმეო საქმიანობა</li> </ul>
შესაძლებლობები:	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვაუჩერული დაფინანსება;</li> <li>• მოდულური პროგრამების დანერგვა.</li> <li>• კოლეჯის შესახებ ცნობადობის გაზრდა,</li> <li>• პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;</li> <li>• თანამედროვედ აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტების სიახლოვე;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კერძო სექტორის პასიურობა;</li> <li>• კოლეჯების რაოდენობის ზრდა; ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;</li> <li>• ბიუროკრატიული მექანიზმები;</li> <li>• პოლიტიკური ფაქტორი</li> <li>• სახელმწიფო მხარდაჭერის შესუსტება;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• დონორი ორგანიზაციების დაინტერესება და მხარდაჭერა;</li> <li>• მსგავსი პროფილის ევროპულ კოლეჯებთან თანამშრომლობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭირო სპეციალობების განვითარების პრიორიტეტების უზღუდველყოფა;</li> <li>• პროექტების სიძვირის გამო დაფინანსების ჩავარდნა;</li> <li>• პარტნიორი საწარმოების მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა</li> </ul>
---	--

## ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

09.2016 – 09.2017 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

განსახორციელებელი აქტივობა	შესრულების ვადები	ჩართული მხარეები	შესრულების მტკიცებულება
ხელშეკრულების დანართების მომზადება /შეთანხმება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან	01.09-03.09	კოლეჯი პარტნიორი საწარმოები	გაფორმებული ხელშეკრულება
ავტორიზაციის განაცხადის გაკეთება	01.09-05.09	კოლეჯი	გაკეთებული განაცხადი
კოლეჯის ავტორიზაცია	05.09 – 01.10		
სტუდენტების მიღება		კოლეჯი	ჩარიცხული სტუდენტები
სამუშაოზე დაფუძნებული განათლების პილოტირება		კოლეჯი პარტნიორი საწარმოები	
მასწავლებლების ტრენინგი		კოლეჯი მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი UNDP	დატრენინგებული მასწავლებლები
შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა		კოლეჯი	შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი
სასწავლო პროცესის		შიდა	შეხვედრის ოქმები

მონიტორინგი/ მეცადინეობებზე დასწრება		მონიტორინგის ჯგუფის წევრები	
პარტნიორ ორგანიზაციასთან კოორდინაცია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის		კოლეჯი	დამსაქმებელთან კოორდინაციაზე გამოყოფილი კადრი
სწავლების პროცესის შეფასება(მასწავლებლების, სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვა)		კოლეჯი	გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი